

ბიზნეს ინკუბაციის მაჩვენებლები

ბიზნეს ინკუბაცია არის ბიზნესის ხელშეწყობის პროცესი, რაც აჩქარებს სტარტაპებისა და გამოუცდელი კომპანიების წარმატებით ფუნქციონირებას განვითარების საწყის ეტაპზე, მათთვის მთელი რიგი განსაზღვრული რესურსებისა და სერვისების შეთავაზების გზით. ა(ა)იპ ბათუმის ბიზნეს ინკუბატორი (BBI) შეიქმნა 2009 წლის სექტემბერში გაეროს განვითარების პროგრამის „აჭარის ეკონომიკური განვითარების პროექტი“ ფარგლებში. მის დამფუძნებელსა და მაკონტროლებელს წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სახით. ბიზნეს ინკუბატორის ფუნქციონირების ძირითადი მიმართულებებია: ბიზნესის განვითარებისათვის საჭირო სერვისების/რესურსების მიწოდება და ინკუბირებული კომპანიების საქმიანობის ხელშეწყობა-მონიტორინგი. 2013 წლიდან ბათუმის ბიზნეს ინკუბატორი რესტრუქტურირებულ იქნა ბიზნესის განვითარების ცენტრად (BDC).

დღეის მდგომარეობით ბიზნეს ინკუბატორის წევრის სტატუსი მიიღო სულ 60 კომპანიამ, აქედან 40 კომპანიამ წარმატებით დაასრულა ინკუბაციის პერიოდი, 6 კომპანიამ ვერ შეძლო ჩამოყალიბება და წარუმატებლად დაასრულა საქმიანობა, 10 კომპანიამ კი გარკვეული მიზეზების გამო სხვა გარემოში გააგრძელა არსებობა და ვადაზე ადრე დატოვა პროექტი. ბიზნეს ინკუბატორში მიმდინარე ეტაპზე ბიზნეს ინკუბაციის პროცესს გადის 4 კომპანია.

ბათუმის ბიზნეს ინკუბატორის მიერ ინკუბირებული კომპანიების მაჩვენებლები	2009-2022 წწ.
ინკუბირებული კომპანიების ერთობლივი შემოსავალი (ლარი)	19 260 800
ინკუბირებული კომპანიების ერთობლივი შენატანები ბიუჯეტში (ლარი)	2 324 552
კომპანიების მიერ გაცემული ხელფასები (ლარი)	4 912 935
ინკუბირებული კომპანიების მიერ შექმნილი გრძელვადიანი სამუშაო ადგილები	670
ინკუბირებული კომპანიების მიერ შექმნილი მოკლევადიანი სამუშაო ადგილები	577

წყარო: ა(ა)იპ ბათუმის ბიზნეს ინკუბატორი.